

შპს „ელექტრონ დე“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	41959	392146	27163
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25857	12432	36083
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	695437	137406	62725
მარაგები	164250	179567	96779
სხვა	164250	179567	96779
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1722557	1416024	1144168
სულ აქტივები	2650060	2137575	1366918
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	716692	0	416617
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	122558	205877	357420
სხვა ვალდებულებები	36422	1217	1077
სულ ვალდებულებები	875672	207094	775114
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი))	0	154228	190998
სულ საკუთარი კაპიტალი	1774388	1776253	400806
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2650060	2137575	1366918
სულ მოკლევადიანი აქტივები	927503	721551	222750
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	753114	1217	417694

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 29 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „ელექტრონ დე“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31.12.2024	31.12.2023
ნეტო ამონაგები	3741604	4319336
მომსახურების გაწევიდან	3741604	4319336
საერთო მოგება	3741604	4319336
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1000105	-1082984
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-122591	-106504
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2573071	-1610503
სულ საოპერაციო ხარჯები	-3695767	-2799991
საოპერაციო მოგება	45837	1519345
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	57561	-33372
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	103398	1485973
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	103398	1485973
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	103398	1485973
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1930481	591804
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-105263	-110526
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-154228	-36770
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1774388	1930481

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 29 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „ელექტრონ დე“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2024	31.12.2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ	321712	695837
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ	-671899	-328855
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-350187	366982
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-1999
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	392146	27163
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	41959	392146

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 29 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

„ელექტრონ დე“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 17 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 404518161.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები. იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი ვაკე-საბურთალო ქ.შარტავას ქ 58/7.

კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელია ფ.პ. ოთარ წაქაძე (პ.ნ. 61001083428).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

2.2) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

2.3) დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.4) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.5) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.6) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.7) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.8) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 29 სექტემბერს.

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

